# გარეჯის მაცნე



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №8(238) 2021 წ. 16-30 აპრილი ფასი 1 ლარი

## კონკურსში - „სუფთა რეგიონი-2020“ გამარჯვებული კვლავ კახეთია





**თბილისის** საკრებულოს შენობაში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე „სუფთა რეგიონი-2020" ტიტულის მფლობელად ზედიზედ მესამედ კახეთის რეგიონი დასახელდა.

„უკვე მესამე წელია კახეთი სუფთა რეგიონის ტიტულის მფლობელია. ჩვენთვის ეს არ არის მხოლოდ სტატუსი, კარგად გვაქვს გააზრებული, რომ რეგიონში დასუფთავების სამუშაოების ყოველდღიურ რეჟიმში, შესრულება პირდაპირ კავშირშია ჩვენს რეგიონში ტურიზმის, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან და რეგიონის მიზიდულობის ზრდასთან. მადლობას გიხდით თანამშრომლობისა და დაფასებისათვის. მადლობას ვუხდი კახეთის რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტს გაწეული სამუშაოსთვის და მადლობას ვუხდი კახეთში მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეს, ვინც სამოქალაქო პასუხისმგებლობით ეკიდება რეგიონში სისუფთავის დაცვას. „გასამმაგებული" ენერგიით გავაგრძელებთ სუფთა რეგიონის ტიტულის მოპოვებისათვის მუშაობას" -აღნიშნა ***კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი შიოშვილმა.***

აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებისათვის მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა, შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი-2018-ის" (დირექტორი თ. ილაური) თანამშრომლებმა, მძღოლებმა – მამუკა შაქარაშვილმა, ზაზა აზარიაშვილმა, ნუგზარ ანუაშვილმა, გელა თამაზაშვილმა, მუშებმა: გიორგი ღვინიაშვილმა, გიორგი როსტომაშვილმა, ბესიკ გონაშვილმა, ავთანდილ მღვდელაძემ, სოლომონ ნარეკლიშვილმა, გიორგი კევლიშვილმა, გუჯა მღვდელაძემ, გელა ზედგენიძემ, თამაზ ლაფერიშვილმა, გიორგი ბედიაშვილმა, რომლებიც ემსახურებიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 19 სოფლიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას.

ასევე „შპს „პროგრესი-2011" (დირექტორი ფრ. კოხტაშვილი) მძღოლებმა – სანდრო ჭიაბერაშვილმა, ზაზა კევლიშვილმა, მუშებმა: აზიზ ასლოევმა, გიორგი დარისპანაშვილმა, დათო როსტომაშვილმა, გივი გულისაშვილმა, სოსო კევლიშვილმა, სოსო დარბაისელმა, სოსო ესაიაშვილმა, კახა კევლიშვილმა, ავთანდილ თეთრაძემ, ტარიელ კიკილაშვილმა, გენადი თედიაშვილმა, რომლებიც ასევე ემსახურებიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას სოფლებიდან: პატარძეული, წყაროსთავი, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, თოხლიაური, მანავი, და ქ. საგარეჯოდან.

ქ. საგარეჯოს ქუჩების დასუფთავებაზე ყოველდღიურად ზრუნავენ ამავე შპს-ს თანამშრომლები: მერი სულიკაშვილი, ნელი ბასლიკაშვილი, მაია თედიაშვილი, დარეჯან მურადაშვილი, ლია ასანიშვილი.





## 22 აპრილი
## დედამიწის საერთაშორისო დღე

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში დასუფთავების აქცია გაიმართა, რომელშიც საჯარო მოხელეები და ადგილობრივი მოხალისეები იღებდნენ მონაწილეობას.

დედამიწის საერთაშორისო დღე- მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, რომელშიც ყოველ წელს მსოფლიოს 192 ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე მონაწილეობს.







*ქეთი ბრატიაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრეს-სპიკერი***

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**23 აპრილი, 2021 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23 აპრილის მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*** **ლელა მარიდაშვილი** უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე*** **ლექსო ბილაშვილი,** მერიის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ალეკო ერბოწონაშვილი**, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **თინათინ ძაბილაშვილი**, ამავე სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი **მარინა თედიაშვილი,** საკრებულოს თანამშრომლები.

***დღის წესრიგის პირველ საკითხზე*** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა*** **თინათინ ძაბილაშვილმა**. როგორც მან თქვა:

– დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენების ხარჯზე ***გაიზრდება 428377 ლარით.***

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:***

***ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (გასული წლის ნაშთიდან) უნდა დაფინანსდეს:***

1) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი გზების მშენებლობა - 65840 ლარი, განხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის დარჩენილ მონაკვეთზე ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.

2) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია -85272 ლარი:

ა) ქ.საგარეჯოსა და სოფელ გიორგიწმინდის დამაკავშირებელი გზის ერთერთ მონაკვეთზე მოხდება ძველი სანიაღვრე არხის ამოცვლა, მოეწყობა ახალი მონოლითური სანიაღვრე არხი და გადაიხურება ლითონის ცხაურით 13094 ლარი;

ბ) ქ.საგარეჯოში ერეკლე მეორის ქუჩაზე მოეწყობა სანიაღვრე არხი 72178 ლარი.

3) სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 86457 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის სათავეებზე და მათგან გამომავალ ქსელებზე სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო სხვადასხვა დიამეტრის მილებისა და სხვადასხვა სანტექნიკური ფასონური ნაწილების შეძენა – 80000 ლარი. ქ.საგარეჯოში მშვიდობის ქუჩაზე სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა -6457 ლარი

4) სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია,მშენებლობა - 117815 ლარი, მინი სტადიონი მოეწყობა სოფელ დიდ ჩაილურში

5) დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 55569 ლარი უნდა გამოიყოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს მხარდასაჭერად (საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტის განკარგულება №7 "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისთვის ა(ა)იპ იურიდიული პირისმიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს შექმნასა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ"),მათ შორის:კლინიკის აღჭურვა, ავტომობილები, ტერიტორიის და ოფისის აღჭურვა -28009,28 ლარი, სახელფასო და მიმდინარე ხარჯი 27599.

6) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა-განვითარება - 6280 ლარი, განხორციელდება ს.ნინოწმინდაში მდებარე წმინდა ნინოს ეკლესიასთან მდებარე სკვერის შემოღობვის და გარე განათების მოწყობის სამუშაოები



7) სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია - 11144 ლარი, 2020წლის 21 იანვრის №10/2 ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურებას,მომწოდებელთან „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან" ასანაზღაურებელია 2020წელს გაწეული მომსახურების თანხა

სულ წინა წლის ნაშთიდან საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე განაწილდა 428377ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021წლის 19 მარტის №6 განკარგულებით დამტკიცდა "საგარეჯოს მუნიციპალიტეტში C ჰეპატიტზე,აივ/შიდსზე და ტუბერკულოზზე ადრეული გამოვლენის მუნიციპალური პროგრამა(2021). პროგრამის დასაფინანსებლად კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამიდან 15000 ლარი (პროგრამის ღირებულება) გადატანილ უნდა იქნას საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ქვეპროგრამის სუბსიდიის მუხლში.

***დღის წესრიგის II საკითხზე*** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსმა*** **მარინა თედიაშვილმა**. როგორც მან აღნიშნა:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში,რომელიც დამტკიცებული იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 27 დეკემბრის №18 დადგენილებით, 5-ჯერ მოხდა ცვლილებების შეტანა.

მუნიციპალიტეტის 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 26503.357 ლარით, ანუ დამტკიცებულთან 14539.500 ლართან შედარებით 11963.857 ლარით (82 %) გაიზარდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 9334,990 ლარი, მ.შ.: 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 6907,265 ლარი; „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში 658,000 ლარი; საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 872,131 ლარი; 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად სოფელ მანავში მანავის ციხესთან მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობისათვის 897,594 ათასი ლარი.

წინა წლის ნაშთიდან დაემატა სულ 3398,667 ლარი, მ.შ. სახელმწიფო ფონდებიდან 1195,267 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 2203,400 ლარი. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული საგადასახადო შემოსავლების პროგნოზებისა და მუნიციპალიტეტის შემოსულობების სხვა წყაროების მოსალოდნელი შემცირების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მ/წლის 15 ივნისის №04-03/56928 წერილის გათვალისწინებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ.წ. 31 ივლისის დადგენილება №10 -ით განხორციელდა 2020 წლის ბიუჯეტის კორექტირება, კერძოდ შემცირდა დამატებული ღირებულების გადასახადი 1029,800 ლარით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის შესრულებიდან გამომდინარე გაიზარდა სხვა შემოსავლები 110,000 ლარით და არაფინანსური აქტივების კლება ანუ საპრივატიზაციო მაჩვენებლები 150,000 ლარით, ხოლო გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შემცირდა 769,800 ლარით. ნაშთი 2020 წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 3 425,156 ლარს, ხოლო წლის ბოლოს 10912,743 ლარს, მ.შ. 5388,970 ლარი არის ნამეტი შემოსავალი, აქედან 5046,273 ლარი არის შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე ჩაირიცხა 2020 წლის 25 დეკემბერს.

***ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ასეთია:***

შემოსულობებმა სულ შეადგინა 28493,660 ლარი, გეგმის 23104,690 ლარის 123 %, აქედან ბიუჯეტის შემოსავლების სახით შემოსულია 23138,406 ლარი, გეგმის (22854,690 ლარი) 101%. ***მათ შორის:***

1) გადასახდების სახით შემოსულია 12409,404 ლარი,გეგმის 11889,700 ლარის 104 %, აქედან ქონების გადასახადი შემოვიდა 3163,686 ლარი, გეგმის 3100,000 ლარის 102 %; მათ შორის: ფიზიკურ პირთა ქონებაზე 21,590 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 1681,839 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 459,466 ლარი, გადასახადი საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) 1099,516 ლარი, სახელმწიფო ხაზინის მიერ გადასახადი უცხოურ საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) დაკორექტირდა და შემცირდა 98,726 ლარით; გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე ანუ დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოვიდა 9245,718 ლარი (გეგმის 8789,700 ლარის 105 %);

2) გრანტების სახით მიღებულია 9310,730 ლარი, გეგმის 9554,990 ლარის 97 %; მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 220,000 ლარი,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია 9090,730 ლარი;

3) სხვა შემოსავლების სახით შემოსულია 1418,272 ლარი, გეგმის 1410,000 ლარის 101 %; მათ შორის: 1) შემოსავალი პროცენტებიდან 173,189 ლარი (გეგმის 95,000 ლარის 182 %); 2) რენტა 624,698 ლარი (გეგმის 560,000 ლარის 112 %); აქედან: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 490,073 ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გაცემიდან 134,625 ლარი; 3) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 101,164 ლარი (გეგმის 105,000 ლარის 96 %), აქედან:ა)ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელები 87,061 ლარი (გეგმის 89,000 ლარის 94 %); ბ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 14,103 ლარი, (გეგმის 12,000 ლარის 118 %); 4) ჯარიმები, სანქციები და საურავები 497,144 ლარი (გეგმის 650,000 ლარის 76 %); 5) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 22,077 ლარი;

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 5355,254 ლარი, გეგმის 250,000 ლარის 2142 %, მ.შ. შემოსულია არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების გაყიდვიდან 103,126 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 5252,128 ლარი, მ.შ. 237,475 ლარი არის შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე, ხოლო 5014,653 ლარი არის შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე.

საგასავლო ნაწილი შესრულდა 21 006,073 ლარით გეგმის 26 503,357 ლარის 79 %; მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 83 %-ით (გეგმა 15753,100 ლარი, ფაქტი 13152,384 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 93 %-ით (გეგმა 220,000 ლარი, ფაქტი 204,994 ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 73 %-ით (გეგმა 10530,257 ლარი, ფაქტი 7648,695 ლარი).

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელების მაჩვენებლები ასეთია: შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 2 056,029 ლარი,გეგმის 99 %; საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 2 735,702 ლარი, გეგმის 2 851,588 ლარის 96 %; პროცენტის ხარჯმა შეადგინა 34,406 ლარი, გეგმის 100 %; სუბსიდიების ხარჯმა შეადგინა 4 469,415 ლარი, გეგმის 99 %; გრანტებმა 53,917 ლარი, გეგმის 100 %; სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 816,401 ლარით, გეგმის 834,033 ლარის 98 %; სხვა ხარჯებმა შეადგინა 376,820 ლარი გეგმის 439,798 ლარის 86 %; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსდა 10 402,705 ლარით, გეგმის 15 651,713 ლარის 66 %–ით; ვალდებულებების კლება 60,678 ლარით გეგმის 100 %.

***ასიგნებების შესრულება ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროგრამების და ქვეპროგრამების მიხედვით ასეთია:***

**ინფრასტრუქტურის განვითარება**

დამტკიცებული გეგმა გაიზარდა 9574.033 ლარით: 1)სახელმწიფო ფონდებიდან 8040.705 ლარით: მ.შ. გასული წლის ნაშთიდან 442,859 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის 2630 განკარგულებით 6042.252 ლარი, 2020 წლის 19 აგვისტოს №1573 განკარგულებით 897,594 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში №2752 განკარგულებით 658,000 ლარი; საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 1533.328 ლარით: მ.შ. ადგილობრივი ბიუჯეტის გასული წლის ნაშთიდან 1744,318 ლარი დაემატა, ბიუჯეტის შიდა ცვლილებებით გამოაკლდა 210,990 ლარი და დაზუსტებულმა გეგმამ შეად-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# მუნიციპალური გვერდი

## წიგნის საერთაშორისო დღე

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელ მანანა ცუცქირიძესთან ერთად მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საჯარო და კერძო სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებთან შეხვედრა გამართა და წიგნის დღესთან დაკავშირებით ახალგაზრდებს საჩუქრად საგარეჯოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ წიგნები და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

23 აპრილს მსოფლიოში წიგნის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. თარიღი „იუნესკომ" აირჩია და წიგნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ეს დღე ყოველწლიურად საქართველოშიც აღინიშნება.

შეხვედრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და ახალგაზრდული სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა, რომელსაც რამდენიმე წელია უკვე ტრადიციული ხასიათი აქვს.

- მართალია, ტექნოლოგიურმა მიღწევებმა წიგნი გარკვეულწილად ჩაანაცვლა, თუმცა მისი მნიშვნელობა არ უნდა დავივიწყოთ და მუდამ გვახსოვდეს. გოგლა ლეონიძისა და რევაზ ინანიშვილის სამშობლოში განსაკუთრებული სიყვარულით უნდა ვეცნობოდეთ ლიტერატურას -აღნიშნა ბატონმა გიორგი ერბოწონაშვილმა მოსწავლეებთან საუბრისას.







## „ინფრასტრუქტურა-2021"

**ნინოწმინდა**-წყაროსთავის დამაკავშირებელი გზის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე, კონტრაქტორი კომპანია ნიადაგის მოსამზადებელ სამუშაოებს ახორციელებს.

მოხრეშვა-მოშანდაგების შემდგომი ეტაპი თხევადი ბიტუმის მოფრქვევა და ასფალტო - ბეტონის მოწყობაა.





---

**სოფელ** თოხლიაურში, სპეციალური ტექნიკის საშუალებით, სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.



*ქეთი გრატიაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრეს-სპიკერი***

გარეჯის მაცნე

№8(238) 2021 წელი, 16-30 აპრილი

# მუნიციპალური გვერდი

<u>**გაგრძელება**</u>

გინა 14321,633 ლარი, შესრულდა 71 %-ით, 10159,941 ლარით.

***საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება***-გეგმა 7399,430 ლარი, შესრულება 5501,825 ლარი-74 % მ.შ.: გზების მიმდინარე შეკეთება 148.410 ლარი, გეგმის 100 %; შ.პ.ს. „საგარეჯოს" სუბსიდიის სახით დაუფინანსდა 259.200 ლარი, გეგმის 100 %; ახალი გზების მშენებლობაზე გაიხარჯა 5071.332 ლარი, გეგმის 6967.321 ლარის 73 %; საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება 22.883 ლარი, გეგმის 24,500 ლარის 93 %;

**წყლის სისტემების განვითარება** 2540.375 ლარი, გეგმის 4674.014 ლარის 54 %; აქედან სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 2211.881ლარი, გეგმის 4341.514 ლარის 51 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ დასრულდა სოფელ კაზლარის, გომბორის, გიორგიწმინდის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები, კაკაბეთში „დვრინის წყალზე" სადრენაჟე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, კაკაბეთში სასმელი წყლის სისტემისთვის დაცვისა და მართვის ფარის შეძენა-მონტაჟის სამუშაოები და ოთხ საქლორატორო შენობაში ტექნიკური დანადგარებისა და მილგაყვანილობის მოწყობის სამუშაოები, ქ.საგარეჯოში კოსტავას ქუჩაზე№14 და №16 კორპუსების სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, ბურდიანში წყალსადენის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები, მზისგულში და შიბლიანში წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები, საპროექტო სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების ხარჯი; ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის დაფინანსებამ შეადგინა 328.494 ლარი, გეგმის 332.500 ლარის 99 %;

**გარე განათება დაფინანსდა** 895,672 ლარით, გეგმის 100 %, მათ შორის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას მოხმარდა 870.901ლარი, გეგმის 100 %, ხოლო გარე განათების ახალი წერტილების მოწყობას 24.771 ლარი, გეგმის 100 %;

**ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია** 190.317 ლარი გეგმის 238.691 ლარის 80 %;

**კეთილმოწყობა** დაფინანსდა 136.043 ლარით, გეგმის 180.501 ლარის 75 %, აქედან საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯი 133.203 ლარია, გეგმის 177.501 ლარის 75 %; სადღესასწაულო ღონისძიებების ხარჯმა შეადგინა 2,840 ლარი, გეგმის 3,000 ლარის 95 %;

**სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** დაფინანსდა 238.249 ლარით, გეგმის 263.609 ლარის 90 %;

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის** ხარჯმა შეადგინა 657.461 ლარი, გეგმის 669.567 ლარის 98 %.

**დასუფთავება და გარემოს დაცვა** გეგმა დაზუსტებული ბიუჯეტის შიდა ცვლილებებით გაიზარდა 39,453 ლარით და შეადგინა 1219,753 ლარი, შესრულდა 100 %-ით.

**ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება** 5,015 ლარი, გეგმის 5,753 ლარის 87 %; კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში 145,361 ლარი გეგმის 10 0%.

**განათლება** დამტკიცებული ხარჯები გაიზარდა 1663,590 ლარით: სახელმწიფო ფონდებიდან დაემატა 1686,023 ლარი: მ.შ. გასული წლის ნაშთიდან 182,130 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებით 631,762 ლარი, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 2020 წლის 9 იანვრის მთავრობის 27 განკარგულებით გამოიყო 872,131 ლარი; საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შემცირდა 22,433 ლარით: მ.შ. ადგილობრივი ბიუჯეტის გასული წლის ნაშთიდან 173,367 ლარი დაემატა, დაზუსტებული ბიუჯეტის შიდა ცვლილებებით გამოაკლდა 150,934 ლარი და წლის ბოლოს გეგმამ შეადგინა 4091,490 ლარი, შესრულდა 82 %-ით ანუ დაფინანსდა

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**23 აპრილი, 2021 წელი**



3338,184 ლარით.

**სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება** (ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება) დაფინანსებულია 1827,307 ლარით 100 %–ით;

**სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია,** მშენებლობა 1004,811 ლარით, გეგმის 1205,843ლარის83%;

**სკოლისგარეშე დაწესებულების ფუნქციონირება**: ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯებმა შეადგინა 98,841 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებული 100,000 ლარის 99%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 2,400 ლარი გეგმის 100%;

**საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა** 404,824 ლარი გეგმის 948,535 ლარის 43 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ დასრულდა მზისგულის, იორმუღანლოს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კოჭბანის, უჯარმის, დიდი ჩაილურის, დუზაგრამის, ქ.საგარეჯოს №3 საჯარო სკოლების შენობების ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები, საპროექტო სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების ხარჯი;

**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაზუსტებული გეგმა** გაიზარდა 446,556 ლარით, კერძოდ, სახელმწიფო ფონდებიდან დაემატა 303,453 ლარი: მ.შ. გასული წლის ნაშთიდან 16,775 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებით 233,251 ლარი, 2020 წლის 18 მარტის №557 განკარგულებით 53,427 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გაიზარდა 143,103 ლარით: მ.შ. ადგილობრივი ბიუჯეტის გასული წლის ნაშთიდან 252,229 ლარი დაემატა, დაზუსტებული ბიუჯეტის შიდა ცვლილებებით გამოაკლდა 109,126 ლარი და შეადგინა 1962,456 ლარი, დაფინანსდა 1651,690 ლარით ანუ 84 %-ით.

**სპორტის სფეროს განვითარება** დაფინანსებულია 78 %–ით (გეგმა 1353,110 ლარი, ფაქტი 1054,701 ლარი; მათ შორის: მათ შორის: ა(ა)იპ"საგარეჯოს 105 კომპლექსური სასპორტო სკოლა" დაფინანსდა 40,467 ლარით, გეგმის 100 %; ა(ა)იპ'საგარეჯოს სპორტული გაერთიანების" დაფინასებამ შეადგინა 359,997 ლარი, გეგმის 100 %; ა(ა)იპ რაგბის კლუბი"ვეფხვები" დაფინანსდა 200,000 ლარი, გეგმის 100 %; შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი" დაფინანსდა 65,000 ლარით, გეგმის 100 %; სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა გეგმა 24,596 ლარი, ფაქტი 21,811 ლარი 89 %; სპორტული ობოიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 367,426 ლარი, გეგმის 663,014 ლარის 55 %, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ დასრულდა გომბორში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები, საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი 12ა -ს მიმდებარე ტერიტორიაზე მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება;

**კულტურის სფეროს განვითარება** დაფინანსდა 546,474 ლარით, გეგმის 556,200 ლარის 98 %-ით, მათ შორის: ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა" 136,236 ლარი, გეგმის 137,500 ლარის 99 %; ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება 370,669 ლარი გეგმის 100 %; კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 23,432 ლარი, გეგმის 31,522 ლარის 74 %; კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა 16,137 ლარი, გეგმის 16,478 ლარის 98 %;

**ახალგაზრდობის მხარდაჭერა** 16,915 ლარი, გეგმის 19,546 ლარის 87 %;

**საგამომცემლო საქმიანობა** (შ.პ.ს .საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი „გარეჯის მაცნე") 33,600 ლარი , გეგმის 100 %.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა:** დამტკიცებული გეგმა გაიზარდა 551,945 ლარით, მ.შ. დაემატა სახელმწიფო ფონდების გასული წლის ნაშთიდან 500,076 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე დაემატა 51,869 ლარი: მ.შ. ადგილობრივი ბიუჯეტის გასული წლის ნაშთიდან 25,786 ლარი, დაზუსტებული ბიუჯეტის შიდა ცვლილებებით 26,083 ლარი და შეადგინა 1763,345 ლარი, შესრულდა 91 %-ით, ანუ 1601,350 ლარით.

**ჯანმრთელობის დაცვა:** გეგმა 650,494 ლარი, ფაქტი 529,488 ლარი(81%), მ.შ.: ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სუბსიდია დაფინანსდა 107,315 ლარით, (100%); სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია გეგმა 542,994 ლარი, ფაქტი 422,172 ლარი(78 %),

**სოციალური დაცვა** გეგმა 1112,851 ლარი, ფაქტი 1071,863 ლარი(96 %),

1) ***პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა*** 3,900 ლარით, გეგმის 4,400 ლარის 89 %( 13 ოჯახი);

2) ***მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა*** 40,000 ლარით, გეგმის 100 %(100 ოჯახი);

3) ***ბავშვთა კვების პროგრამის*** 189 ლარი, გეგმის 500 ლარის 38 %; ( 2 ბავშვი)

4) ***უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა*** 2,900 ლარით, გეგმის 2,924 ლარის 99 % ( 3 ბავშვი);

5) ***შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა*** 35,950 ლარი, გეგმის 100 %, დახმარება გაეწია 69 ბავშვს;

6) ***შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა*** 8,640 ლარი, გეგმის 100 %, ეს არის შშმ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის ბუნებრივი აირით დაფინანსების ხარჯი 1,605 ლარი; შშმ პირის დისტანციური მომსახურების პროცესში ჩართვის მიზნით სტანდარტული ლეპტოპის შესყიდვის ხარჯი 1,119 ლარი; სარეაბილიტაციო მკურნალობის ხარჯი 5,916 ლარი(16 ბენეფიციარი);

7) ***მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა*** 3,400 ლარი გეგმის 100 % (17 ბენეფიციარი);

8) ***სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა*** 2,000 ლარი, გეგმის 3,995 ლარის 50 %, ( 4 ოჯახი);

9) ***სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა*** 223,882 ლარი გეგმის 229,874 ლარის 97%( 408 ბენეფიციარი);

10) ***მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა*** 144,369 ლარი გეგმის 100 % (628 ბენეფიციარი);

11) ***ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა*** 142,615 ლარი გეგმის 145,550 ლარის 98 % (288 ბენეფიციარი);

12) ***ბიკარბონატული ჰემოდიალიზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა*** 33,400 ლარი გეგმის 100 %( 29 ბენეფიაციარი);

13) ***ელექტრო ენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა*** 27,205 ლარი გეგმის 27,405 ლარის 99 %(368 ბენეფიციარი);

14) ***მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა*** 66,950 ლარი გეგმის 100% (1339 ბენეფიციარი);

15) ***სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე*** 64,591 ლარი გეგმის 100 %, ეს არის ხარჯი სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესაძენად, რომელიც გაიცა: საშობაოდ 17.372 ლარის 700 ოჯახზე; სააღდგომოდ 7,872 ლარის 700 ოჯახზე; 39,347 ლარის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სამოცდაათი წლის ზევით მყოფი სოციალურად დაუცველი მარტოხელა მოქალაქეებისთვის, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის და სხვა მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებულ 860 ოჯახზე;

16) ***მოსახლეობის ტრანსპორტირების*** პროგრამა 13,144 ლარი გეგმის 20,986 ლარის 63 %, მ.შ. სოფელ უდაბნოდან ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ 7,560 ლარი, სოფელ სათაფლედან ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ 4,594 ლარი; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირება სამედიცინო ცენტრში პროფილაქტიკური გამოკვლევების ჩასატარებლად 990 ლარი;

17) ***ხანდაზმულ*** (95 და მეტი წლის ასაკის) ***პირთა დახმარების პროგრამა*** 3,400 ლარი გეგმის 3,600 ლარის 94 % (17 ბენეფიციარი);

18) ***უპატრონო და სოც დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა*** 7,800 ლარი გეგმის 10,200 ლარის 76 % (26 ბენეფიციარი);

19) ***სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის*** დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა 7,412 ლარი გეგმის 100 %, კერძოდ, სამჯერ გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა და ჩაუტარდა სადეზინფექციო სამუშაოები იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელს.

20) ***მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა*** 27,689 ლარი გეგმის 28,316 ლარის 98 % (22 ოჯახი);

21) ***უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება*** 187,103 ლარი გეგმის 201,915 ლარის 93 % (220 ბენეფიციარი);

22) ***ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა*** 3,800 ლარი გეგმის 6,400 ლარის 59 %, ეს არის მეორე მსოფლიო ომის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა მემორიალების და დაღუპულ მეომართა საფლავების შესამკობად გვირ-

*დასასრული მე-7 გვერდზე*

## ხარება იესოს შობის შესახებ

**პატარა** ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდა მოკრძალებული ქალწული, მარიამი, რომელსაც უფალი წმინდა გულით უყვარდა. ერთხელ მას გამოეცხადა უფლისაგან გამოგზავნილი მთავარანგელოზი გაბრიელი და უთხრა: „გიხაროდეს! მომადლებულო, შენთანაა უფალი. კურთხეული ხარ დედათა შორის“. მარიამი შეკრთა, მაგრამ ანგელოზმა დაამშვიდა: „ნუ გეშინია, მარიამ, რადგან ღვთის მადლი იპოვე. დაორსულდები, გაგიჩნდება ვაჟი და სახელად იესოს დაარქმევ. ის იქნება დიდი პიროვნება და ღმერთის ძე ეწოდება. მისცემს მას უფალი მამამისის, დავითის, ტახტს და ქვეყნის აღსასრულამდე იმეფებს იგი იაკობის სახლზე, არ ექნება დასასრული მის მეფობას“.

იმ დროს მარიამი მხოლოდ დანიშნული იყო იოსებზე და ამიტომ გაუკვირდა: „ეს როგორ მოხდება, როცა მე მამაკაცი არ ვიცი?“ ანგელოზმა მიუგო: „სულიწმინდა გადმოვა შენზე და უზენაესის ძალა მოგჩრდილავს. ამიტომ წმინდა შობილიც იწოდება ღვთის ძედ“. მაშინ მარიამმა თქვა: „აჰა, მხევალი ვარ უფლისა. მეყოს შენი სიტყვისამებრ“ და განეშორა მას ანგელოზი.

როცა იოსებმა გაიგო, რომ მარიამი ბავშვს ელოდებოდა, მასთან ფარულად დაშორება გადაწყვიტა, მაგრამ ძილში უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „იოსებ, ძეო დავითისა, ნუ გეშინია შენი ცოლის, მარიამის, მიღება, რადგან ის, ვინც მასშია ჩასახული, სულიწმიდისაგან არის. ძეს შობს და დაარქმევ სახელად იესოს, ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან“. (ლუკას სახარება 1,26-35; მათეს სახარება 1,20-21)

---

## ბზობა, ბაიაობა

— ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაული. მოძრავია, აღინიშნება აღდგომის წინა კვირა დღეს. ქრისტიანული კულტის მსახურებაში ბზობის დღესასწაული IV საუკუნეში შემოვიდა (საწყისს იღებს ძველი ებრაული დღესასწაულიდან). მისი შინაარსი დაფუძნებულია სახარების მოთხრობაზე, რომელშიც გადმოცემულია იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი. იესოს მოსახლეობა ზეიმით შეეგება, ზოგი მის სახედარს ფეხქვეშ თავის სამოსს უგებდა, ზოგი პალმის ტოტებს — ბაიას უფენდა, თან „ოსანას“ შესძახოდნენ. ბზობის რიტუალი სიმბოლურად იმეორებს სახარების ამ მოთხრობის ზოგიერთ დეტალს; მღვდელმსახურნი მლოცველთა მიერ მიტანილ ტოტებს აკურთხებენ, გალობენ „ოსანას“ და სხვა. ბევრ ქვეყანაში პალმის მაგივრობას ბზა ასრულებს (აქედან ქართული „ბზობა“).

---

# მართლმადიდებლობა

## აღდგომის დღის გამოთვლა

ცნობილი გერმანელი მათემატიკოსის კარლ ფრიდრიხ გაუსის მიერ გამოყვანილ იქნა ფორმულები, რომელთა მიხედვითაც ქრისტიანული პასექის დღე (ძვ. სტილით) შემდეგნაირად განისაზღვრება:

გამოთვლა მათემატიკური ფორმულებით:

კალენდარული წლის რიგითი ნომერი ( )} უნდა გაიყოს 19-ზე, 4-ზე და 7-ზე, ხოლო გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთები კი შესაბამისად ა,ბ და ც-თი ავღნიშნოთ. შემდეგ სიდიდე 19ა+15 უნდა გაიყოს 30 -ზე, ნაშთი აღვნიშნოთ დ-თი, რის შედეგადაც გამოსახულება 2ბ+4ც+6დ+6} უნდა გაიყოს 7-ზე, ნაშთი კი აღვნიშნოთ ე-თი. საბოლოოდ მივიღებთ, რომ აღდგომის დღე 1) თუ დ+ე<10, მაშინ აღდგომა მარტის თვეში იქნება და =22+(დ+ე)} ან 2) თუ დ+ე>10}, მაშინ აღდგომა აპრილის თვეში იქნება და =(დ+ე)-9.

მაგალითისათვის 2015 წლის აღდგომის თარიღი ასე გამოითვლება:

2015/19=106 მთელი 1/19 ანუ ა=1

2015/4=503მთელი3/4} ანუ ბ=3

2015/7=287 მთელი 6/7 ანუ ც=6

დ=(19*ა+15)/30=(19*1+15)/30=1 მთელი 4/30} ანუ დ=4

ე=(2ბ+4ც+6დ+6)/7=(2*3+4*6+6*4+6)/7=8 მთელი 4/7} ანუ ე=4

დ+ე=4+4=8<10 აღდგომა იქნება მარტის თვეში.

A=22+(დ+ე)=22+8=30}

ე. ი. 2015 წელს აღდგომა დღე მოუწევს 30 მარტს (ძვ. სტილით).

# აღდგომა

**ხოლო** გვწამს, აგრეთვე, მკვდართა აღდგომა, რადგან იქნება, ნამდვილად იქნება მკვდართა აღდგომა. ამასთან, ვამბობთ რა აღდგომას, სხეულთა აღდგომას ვამბობთ, რადგან აღდგომა ესაა დაცემულის მეორედ დგომა, ხოლო სულები, რომლებიც უკვდავნი არიან, როგორ უნდა აღდგნენ? მართლაც, თუ სიკვდილი განისაზღვრება, როგორც სულის გაყრა სხეულისგან, აღდგომა უთუოდ არის სულისა და სხეულის კვლავ შეკავშირება და დაშლილი და დაცემული ცოცხალი არსების მეორედ მდგომობა. ამიტომ, თვით გახრწნილი და დაშლილი სხეული, თვით იგი აღდგება უხრწნელი, რადგან ვინც დასაბამში მიწის მტვრისგან შეამყარა სხეული, ძალუძს მას აგრეთვე, რომ კვლავ აღადგინოს იგი, დაშლილი და იმ მიწისკენ მიქცეული, რისგანაც იყო აღებული შემოქმედის განჩინების შესაბამისად.

მართლაც, თუ არ არსებობს აღდგომა, „ვჭამოთ და ვსვათ“, მივყვეთ სიამტკბილობით და განცხრომით ცხოვრებას.

თუ არ არის აღდგომა, რითღა განვირჩევით პირუტყვთაგან?

თუ არ არის აღდგომა, ნეტარვყოთ ველის მხეცები, რომლებსაც უზრუნველი ყოფა აქვთ.

თუ არ არის აღდგომა, მაშინ არც ღმერთია და არც წინაგანგება, არამედ ყოველივე თვითნებურად განეგება და წარემართება, რადგან, აჰა, ვხედავთ, რომ მართალთა უმრავლესობა შეჭირვებულია და შეურაცხყოფილი, არ მიიღებს რა არანაირ შემწეობას ამჟამინდელ ყოფაში, ხოლო ცოდვილნი და უსამართლონი სიმდიდრეში და ყოველგვარ განცხრომაში განისვენებენ. ამიტომ, კეთილგონიერთაგან ვინ იქნება ისეთი, რომ ამგვარი რამ მართლმსაჯულებისა და ბრძნული წინაგანგების საქმედ ჩათვალოს?

ამიტომ, იქნება, დიახ, იქნება აღდგომა, რადგან სამართლიანია ღმერთი და ვინც მას დაუთმობს, საზღაურსაც მიიღებს მისგან. ასე რომ, თუ მხოლოდ სული იღვაწებდა სათნოებათა ასპარეზზე, მხოლოდვე იგი მიიღებდა გვირგვინს. ასევე, თუ მხოლოდ სული ჩაეფლობოდა სიამტკბილობაში, სამართლიანად დაისჯებოდა მხოლოდ იგი, მაგრამ რადგან სულს არც სხეულისგან განცალკევებული არსებობა ჰქონდა და არც მის გარეშე ეშურებოდა იგი სათნოებას თუ ბოროტებას, საზღაურთაც სამართლიანად მიიღებს ერთობლივად ორივე მათგანი.

ამასთან, ადასტურებს საღვთო წერილიც, რომ იქნება სხეულთა აღდგომა. ასე უთხრა ღმერთმა ნოეს წარღვნის შემდეგ: „როგორც ბალახის მწვანილი, მოგეცით თქვენ ყოველივე, მაგრამ ხორცი სულის სისხლით არ ჭამოთ, რადგან თქვენეულ სისხლსაც თქვენს სულთაგან გამოვიძიებ; ყველა მხეცის ხელისგან გამოვიძიებ მას და ყოველი ადამიანის, მისი ძმის, ხელისგან გამოვიძიებ მის სულს. ვინც დაღვრის ადამიანის სისხლს, მისი სისხლის სანაცვლოდ დაიღვრება, რადგან ღვთის ხატით შევქმენი ადამიანი“ (შესაქ. 9,3-6).

როგორ გამოიძიებს იგი ადამიანის სისხლს ყველა მხეცის ხელისგან, თუ არ აღადგენს მომკვდარი ადამიანების სხეულებს? მართლაც, ადამიანთა სანაცვლოდ როდი კვდებიან ცხოველები.

ასევე, თქმულია მოსეს მიმართ. „მე ვარ ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა. არ არის ღმერთი მკვდართა ღმერთი“ (გამოსვლ. 3,6), - ე. ი. არ არის იგი იმათი ღმერთი, რომლებიც მოკვდნენ და აღარ იარსებებენ, არამედ - ცოცხალთა, რომელთა სულებიც მის ცხოველ ხელშია, სხეულები კი კვლავ იცოცხლებენ აღდგომის მიერ.

ღვთისმამა დავითიც ამბობს ღვთის მიმართ: „სულს წაართმევ მათ და მოისპობიან და მათივე მტვრისკენ მიიქცევიან“ (ფს. 103,29). აჰა, სხეულთა შესახებაა ეს სიტყვა. შემდეგ ურთავს: „გამოავლენ შენს სულს და შეიქმნებიან, და განაახლებ მიწის პირს“ (ფს. 103,30).

ესაიაც ამბობს: „აღდგებიან მკვდრები და აღიმართებიან საფლავებში მყოფნი“ (ეს. 26,29). ცხადია, რომ სხეულებია დადებული საფლავებში და არა სულები.

ნვტარ ეზეკიელსაც უთქვამს: „და მოხდა ისე, რომ ვწინასწარმეტყველებდი მე და, აჰა, იყო მიწისძვრა, და მოიტანა ძვლები, ძვალი - ძვლისადმი, თითოეული - თავისი ნაწევრისადმი. და ვიხილე, და, აჰა, შეექმნათ მათ ძარღვები და ხორცები აღმოუცენდათ და ამოუვიდათ მათზე, და ზემოდან გარემოეტმასნათ მათ ტყავი“ (ეზეკ. 37,7-8). შემდეგ იმას გვასწავლის, როგორ დაუბრუნდათ მათ ბრძანებამიცემული სულები.

საღვთო დანიელიც ამბობს: „და იმ დროს აღდგება მიქაელი, დიდი მთავარი, რომელიც დადგენილია შენი ხალხის ძეებზე, და იქნება ჟამი შეჭირვებისა, შეჭირვება, როგორიც არ ყოფილა მას შემდეგ, რაც ხალხი გაჩნდა მიწაზე, ვიდრე იმ დრომდე. და იმ დროს ცხონდება შენი ხალხი, ყველა ის, ვინც წიგნში ჩაწერილი აღმოჩნდება. და მრავალნი მძინარეთაგანნი მიწის ნაყარში აღიმართებიან, ერთნი საუკუნო სიცოცხლისათვის, მეორენი - საუკუნო გაკიცხვისა და სირცხვილისათვის. და გონიერნი გამობრწყინდებიან, როგორც სამყაროს ბრწყინვალებაა და მრავალნი მართალთაგანნი, როგორც ვარსკვლავნი, საუკუნოდ და შემდეგაც გამობრწყინდებიან“ (დან. 12,1-3). როდესაც ამბობს იგი, რომ „მრავალნი მძინარეთაგანნი მიწის ნაყარში აღდგებიან“, ცხადია, სხეულთა აღდგომას წარმოაჩენს ამით, რადგან არავინ იტყვის, რომ სულებს სძინავთ მიწის ნაყარში.

თვით უფალმაც წმინდა სახარებებში სხეულთა აღდგომა ცხადად გადმოსცა, რადგან თქვა: „მოისმენენ საფლავში მყოფნი ღვთის ძის ხმას და გამოვლენ კეთილთა მოქმედნი სიცოცხლის აღდგომაში, ხოლო უკეთურთა მოქმედნი - სასჯელის აღდგომაში“ (იოან. 5,28-29), საფლავებში მყოფებად კი განა ოდესმე სულებს იტყოდა ვინმე საღად მოაზროვნეთაგანი?

ამასთან, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც გააცხადა უფალმა სხეულთა აღდგომა. პირველად, აღადგინა მან ოთხი დღის მკვდარი ლაზარე, უკვე გახრწნილი და სუნგაშვებული, ხოლო აღადგინა მან არა სხეულს მოკლებული სული, არამედ სხეულიც სულითურთ, და არა სხვა, არამედ - თვით ის, გახრწნილი, რადგან როგორღა შეიცნობოდა ანდა სარწმუნო გახდებოდა მკვდრის აღდგომა, თუკი მისი პიროვნების გამომხატველი თვისებები არ დაამტკიცებდნენ ამას? მაგრამ მან აღადგინა ლაზარე (რომელსაც კვლავ სიკვდილისკენ მიქცევა ელოდა), იმისათვის, რომ გაეცხადებინა თავისი ღმრთეება და სარწმუნო გაეხადა თავისი და ჩვენი აღდგომა, თვით უფალი კი დასაბამი გახდა იმ სრული აღდგომისა, რაც უკვე აღარ ექვემდებარება სიკვდილს. ამიტომაც ამბობდა საღვთო მოციქული პავლე: „თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღდგომილა. მაშ, ფუჭი ყოფილა ჩვენი რწმენა. მაშ, კვლავაც ჩვენს ცოდვებში ვყოფილვართ“ (1კორ. 15,16-17). და კიდევ: „ქრისტე აღდგომილია, დასაბამი დაძინებულთა“ (იქვე 20). კიდევ: „პირმშო მკვდართაგან“ (კოლას. 1,18). და კიდევ: „თუკი გვწამს, რომ იესო მოკვდა და აღდგა, ასევე ღმერთი იმათაც, რომლებიც დაძინებულნი არიან, თავისთან მიიყვანს იესოს მიერ“ (1თეს. 4,14), თქვა კი მოციქულმა: „ასევე“. ესე იგი: „„ისე, როგორც აღდგა უფალი“.

ხოლო ცხადია, რომ უფლის აღდგომა მისი გაუხრწნელებული სხეულისა და სულის შეერთება იყო, რადგან ესენი იყვნენ გაყრილნი. მანვე თქვა: „დაარღვიეთ ეს ტაძარი და სამ დღეში ავაშენებ მას“ (იოან. 2,19). ღირსსარწმუნო მოწმეა წმინდა სახარება, რომ თავისი სხეულის შესახებ თქვა მან ეს. ამიტომ უთხრა თავის მოწაფეებს, რომლებსაც ეგონათ, რომ სულს ხედავდნენ: „ხელი შემახეთ მე და ნახეთ, რომ მე ვარ და არ შევცვლილვარ, რადგან სულს ხორცი და ძვლები არ აქვს, როგორც ხედავთ, რომ მე მაქვს“ (ლუკა 24,39). „და, თქვა რა ეს, უჩვენა მათ ხელები და გვერდი“ (იოანე 20,20), და თომასაც იწვევდა ხელის შესახებად. განა ყოველივე ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სარწმუნო იყოს სხეულთა აღდგომა?

კიდევ, საღვთო მოციქული ამბობს: „საჭიროა რომ ამ ხრწნადმა შეიმოსოს უხრწნელება და ამ მოკვდავმა შეიმოსოს უკვდავება“ (1კორ.15,53). და კიდევ: „ითესება ხრწნილებაში, აღდგება უხრწნელებაში; ითესება უძლურებაში, აღდგება ძლიერებაში; ითესება უპატიობაში, აღდგება დიდებაში; ითესება მშვინვიერი სხეული“, ესე იგი - განხშოებული და მოკვდავი, „აღდგება სულიერი სხეული“ (1კორ. 15,42-44), ესე იგი - უცვლელი, უვნებო, დაწლობილი4 (რადგან ამას ნიშნავს „სულიერი“), ანუ იმგვარი, როგორიც იყო უფლის სხეული აღდგომის შემდეგ, კერძოდ: დაკეტილ კართა შორის გამავალი, დაუღლელი, საკვების, ძილისა და სასმელის არმსაჭიროებელი. მართლაც, უფალი ამბობს, რომ „იქნებიან ისინი როგორც ღვთის ანგელოზები“ (მათე 22,30). აღარ იქნება არც ქორწინება, არც შვილიერება. საღვთო მოციქული ამბობს: „ჩვენი მოღვაწეობა ცათა შინა ჰგიეს, საიდანაც მოველით, აგრეთვე, მაცხოვარს, უფალ იესოს, ვინც გარდასახავს კიდეც ჩვენი სიმდაბლის სხეულს, რომ გახდეს იგი თანახატება მისი დიდების სხეულისა“ (ფილიპ. 3,20-21). ამით მოციქულმა სხეულის სხვა სახედ გარდაქმნა როდი თქვა (ნუ მოხდება ეს!), არამედ უმალ ხრწნილებისგან უხრწნელებისკენ მისი შეცვლა.

„მაგრამ იკითხავს ვინმე: როგორ აღდგებიან მკვდრები?“ (1კორ. 15,35). ჰოი, ურწმუნოებავ! ჰოი, უგუნურებავ!

განა ის, ვინც მარტოდენ განზრახვით გარდაქმნის მტვერს სხეულად, ის, ვინც უბრძანებს თესლისეული ნივთის მცირე წვეთს საშოში ზრდას და სხეულის ესოდენ მრავალსახოვან და მრავალგვარ აგებულებად განსრულებას, - განა ასეთი ვინმე უფრო მეტად არ შეძლებს იმას, რომ, განიზრახავს რა, კვლავ აღადგინოს უკვე ქმნილი და დარღვეული?

„მაგრამ როგორი სხეულით მოვლენ ისინი?“ (1კორ. 15,35). „უგუნურო!“ (იქვე 36), თუკი სიბრმავე არ განებებს, რომ ირწმუნო ღვთის სიტყვები, საქმეთაგან მაინც ირწმუნე, რადგან „შენ რასაც თესავ, არ ცოცხლდება, ვიდრე არ კვდება, და როცა რაიმეს თესავ, არათუ იმ სხეულს თესავ, რაც უნდა შეიქმნეს, არამედ - შიშველ მარცვალს, ვთქვათ, ხორბლისას ანდა სხვა რამისას, ხოლო სხეულს ღმერთი აძლევს მას როგორც ინებებს, და თითოეულ თესლს თავისი სხეული ეძლევა“ (1კორ. 15,36-38). დაუკვირდი, რომ თესლები ისე დაიფლვის ხნულებში, როგორც - საფლავებში. ვინ არის იგი, ვინც შთაუნერგავს მათ ფესვებს, ღეროს, ფოთლებს, თავთავებს და უწვრილეს ფხებს? განა არა ყოველთა შემოქმედი? განა არა იმის ბრძანება, ვინც ყოველივეს აღაშენებს? ამიტომ, გწამდეს ასევე, რომ ღვთის განზრახვითა და ნიშანცემით იქნება მკვდართა აღდგომაც, რადგან განზრახვის თანამსრბოლად აქვს მას ძალაც.

ამრიგად, აღვდგებით, შეუერთდებიან რა სულები გაუხრწნელებულ და ხრწნილებისგან განძარცვულ სხეულებს და წარვუდგებით ქრისტეს საშინელ ტახტს, და გადაეცემიან ეშმაკი და მისი დემონები, აგრეთვე მისი ადამიანი ანუ ანტიქრისტე, ურჯულონი და ცოდვილნი საუკუნო ცეცხლს (არანივთიერს, როგორიც ჩვენთან არის, არამედ - იმგვარს, როგორიც ღმერთმა უწყის), სიკეთის მოქმედნი კი გამობრწყინდებიან როგორც მზე, ანგელოზებითურთ, საუკუნო ცხოვრებისათვის ჩვენს უფალ იესო ქრისტესთან. მჭვრეტელნი მისნი და ჭვრეტილნი მისგან, რომლის დაუსრულებელ სიხარულსაც მოინაყოფებენ ისინი, ამინ!

*წმინდა იოანე დამასკელი*

თრიალეთის მაცნე
№8(238) 2021 წელი, 16-30 აპრილი

## ჩვენი თანამოქალაქენი

## განსხვავებული ინტერესებითა და მისწრაფებებით

# „ვინ ვართ და საიდან მოვდივართ?!“



***დღეიდან ვიწყებთ თქვენთვის, ჩვენი გაზეთის მკითხველო, გაცნობას, ვინც ჩვენს გვერდით ცხოვრობს, საქმიანობს, სულდგმულობს, ამასთან თავის ცხოვრებას ალამაზებს, შნოსა და ლაზათს მატებს განსხვავებული ინტერესებითა და მისწრაფებებით. ერთ-ერთი ასეთი საგარეჯოელი დავით ანუაშვილია, რომელიც დაიბადა და იზრდებოდა ქ. თბილისში, მაგრამ მისი სული, გული და ფიზიკური არსებობა სულ საგარეჯოში იყო და არის. 15 აპრილს 32 წლის შესრულდა, მაგრამ ფიქრით, საქციელით, მომავლის გეგმებით უფრო მეტისაცაა და ამავე დროს მასში თითქოს ბავშვიცაა ალალი, მიმნდობი. მასში უძლიერესია ის თვისება, რომელიც ახლა ძნელადღა მოიპოვება – სიყვარული. სიყვარულისა და „სამებობის“ დღეს დაბადებული კაცი სიყვარულს ასხივებს ყველგან და ყველაფერში – საქმიანობაში, ადამიანებთან ყოველდღიურ ურთიერთობებში, ხელოვნებაში. საინტერესო პიროვნებაა – კაცი, რომელიც თბილისის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიური დაამთავრა, ერთნაირი დოზითაა შეყვარებული ყველაფერ ქართულზე, რაშიც ქართული სული, ქართული სილამაზე, ქართული ნიშან-თვისებებია. ამასთან ხატავს, ხატავს და იმ ნახატებშიც ქართული სულის სიცხოველე, უკვდავება, სილამაზე იკითხება.***

***დათოს ჰყავს მეუღლე – თეონა ლაფერიშვილი, შვილები – ნენე – 6 წლის და დემეტრე – 3 წლის. ნენე საგარეჯოს IV საჯარო სკოლის პირველკლასელია.***

***დათო ანუაშვილი დღეს ჩვენი, თქვენი, ყველას სტუმარია თავისი ალალი, მოსიყვარულე გულითა და საქართველოს ნათელი მომავლის სურვილებით.***

***– დათო, ვიცი, რომ ბავშვობიდანვე და დღესაც ასეა, დაინტერესებული იყავი მეცხვარეობით, პირველი კითხვაც ასეთია – რა იცი ქართული მეცხვარეობის შესახებ?***

– მეცხვარეობა საქართველოში ერთ-ერთი ძირძველი დარგია, რომლის განვითარება დღევანდელ ეკონომიკურ-სოციალურ პირობებში არაერთ ოჯახს იხსნის გაჭირვებისაგან. უხსოვარი დროიდან საქართველოში ცხვრის მატყლიდან ქალები ქსოვდნენ ტანსაცმელს, წინდებს, ხალიჩებს, კერავდნენ ლოგინს – საბანს, ლეიბს, აკეთებდნენ თექის ნაკეთობებს. ცხვრის მატყლის გამოყენება დიდი დაკვირვებით ხდებოდა – ცხვრის ზურგის, მუცლის, გვერდების ნაპარსისგან სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმელს ქსოვდნენ. როგორც ჩემთვის ცნობილია, მატყლისგან დამზადებული ნივთები – ტანსაცმელი ადამიანის 25 დაავადებას კურნავსო. ავიღოთ თექის ქუდი, რომელსაც კახურ ქუდსაც უწოდებენ, ზამთარში თბილია, ზაფხულში გრილი.

დღეისათვის მსოფლიოში 500-მდე ცხვრის ჯიშია გავრცელებული, აქედან 43 ჯიშის ცხვარს მატყლი არა აქვს. საქართველოში გამოყვანილია ე.წ. აბორიგენული ჯიშის ცხვარი – თუშური და იმერული. ჩვენთან უხსოვარი დროიდან ხდებოდა ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების გამოყენება, შესაბამისად თუშური ცხვრის ჯიშის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მომთაბარე მეურნეობის არსებობამ, რის გამოც თუშური ჯიშის ცხვარს ჩამოუყალიბდა ცვლად კლიმატთან ადვილად შეუებადი ხასიათი, სტრესის მიმართ მდგრადობა. მას ისეთი მყარი მუხლი აქვს, რომ შეუძლია წელიწადში 4000-4500 კმ გაიაროს.

საქართველოში მეცხვარეობა გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში – თუშეთში, კახეთში, ხევსურეთში, მთიულეთში, ქართლში, ასევე მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში.

თუშური ცხვრის წარმოშობა დაკავშირებულია ქართველთა მონათესავე წოვა-თუშების გადმოსახლებასთან საქართველოს ტერიტორიაზე X საუკუნის II ნახევრიდან. ამიტომაც მოხდა მათი უხეშმატყლიანი ცხვრის შეჯვარება მანამდე აქ არსებულ წმინდა და ნახევრადწმინდა ნაზმატყლიანი ცხვრის ჯიშებთან, შემდეგში კი მოხდა ამ ცხვრის შეჯვარება „ყარაბულაღთან“, რომელიც გავრცელებული იყო დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. სწორედ ამ ჯიშის ცხვარს აქვს გამომუშავებული ამტანობა მომთაბარე მეცხვარეობასთან. მისთვის ვარგისია როგორც ნახევრადუდაბნოს ტიპის მწირი მიწა, ისე ზაფხულობით კავკასიონის ძნელადმისადგომი ციცაბო მთები.

თუშური ცხვრის ვერძის ცოცხალი წონა საშუალოდ არის 60-80 კგ, შეიძლება მან



100 კგ-საც გადააჭარბოს. ნერბი კი საშუალოდ 40-50 კგ-ია. მისი მატყლი შედარებით უხეშია და ამ მატყლზე მოთხოვნა მაინცდამაინც არც არის. რაც შეეხება იმერულ ცხვარს, ვარაუდობენ, რომ ის IV-VI საუკუნეებშია შემოყვანილი. მრავლდება სწრაფად. წელიწადში იძლევა დიდ ნამატს. ერთ ჯერზე შეუძლია 2 და 5 ნამატის მოცემა, მაშინ, როცა თუშური ცხვარი ერთ, იშვიათად ორს იძლევა. იმერული ცხვარი ბატკნის მოგებიდან 20-25 დღეში ისევ ნერბვაზე მიდის და ინერბება, 11-14 თვის ნერბი უკვე ბატკანს იგებს. მაკეობის პერიოდიც მოკლე აქვს – 137-143 დღე. მისი წონა 25-35 კგ-ია. წელიწადში 3-4 კგ მატყლს იძლევა, ვერძი 35-45 კგ-ს იწონის. იმერული ცხვრის ხორცი არ არის ცხიმიანი, ამიტომ ის დიეტურ საჭმლად ითვლება.

1948 წელს ადგილობრივი ნერბებისა და წმინდამატყლიანი ვერძების შეჯვარების შედეგად მიიღეს ქართული ნახევრადნაზმატყლიანი, ცხიმკუდიანი ცხვარი, რომელიც უკვე გადაშენების გზაზეა. ნერბის წონა 46-47 კგ-ია, ხოლო ვერძის 65-70 კგ, ან შეიძლება 125 კგ-საც მიაღწიოს. როგორც ამბობენ, საქართველოში საბჭოთა კავშირის დროს ბოლო პერიოდში 2 მილიონი სული ცხვარი იყო, ახლა კი 700-800 ათასია. თუ ადრე ქართველი მწყემსები ყიზლარის საძოვრებით სარგებლობდნენ, ახლა ეს საძოვრები ჩვენთვის მიუწვდომელია. მეცხვარეობას კახეთში ოთხი რაიონიღა მისდევს – დედოფლისწყარო, სიღნაღი, საგარეჯო, ახმეტა.

ერთხანს დიდი იყო მოთხოვნა ქართული ცხვრის მიმართ. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს უპირატესობას ქართული ცხვრის ხორცს და ყველს ანიჭებდნენ. 2009 წლიდან საქართველოდან ყოველწლიურად 150-160 ათასი სული ცხვარი გადიოდა ირანში, არაბულ ქვეყნებში, შემდეგ წლებში – ისრაელში, აზერბაიჯანში. შემდეგ კი შემცირდა – კონკურენციებს ვეღარ გაუძლო ქართულმა ცხვარმა. 2013 წლიდან ცრუ ინფორმაცია, ცრუ ხმა გაავრცელეს ცხვრის დაავადების მიმართ. არადა, მუსულმანურ სახელმწიფოებს იაფი უჯდებოდა ქართული ცხვარი, სულ 17-18 მილიონი დოლარი წელიწადში. ცხვრის ხორცის სიიაფე კი იმით იყო გამოწვეული, რომ ქართული ცხვრის გამოზრდა მთლიანად საძოვარზე ხდება, საკვები ორგანულია, გაჯერებულია ვიტამინებით და მეორეც, ძალიან გემრიელია და არა აქვს სპეციფიკური სუნი.

სპეციფიკური სუნი არა აქვს ცხვრის ყველსაც. ესეც იმ საძოვრების დამსახურებაა, სადაც ცხვრის ძოვება ხდება, იმ გარემოს გავლენა, სადაც ის ბინადრობს.

***– როგორც ვიცი, საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე, კერძოდ, იმ ადგილებში, რომლებსაც ახლა აზერბაიჯანი სადაოს ხდის და არღვევს 100 წლით დადებულ საიჯარო ხელშეკრულებას, არსებობს მცენარე, რომელიც საერთოდ სუნსაც უკარგავს გუდის ყველს და უფრო ნოყიერს ხდის, რა მცენარეა ეს?***

– მას მეცხვარეები ხურხუმოს ეძახიან და ძალიან ეტანება ცხვარი. გუდაგამოვლილი ასეთი ცხვრისგან მიღებული ყველი მართლაც საუკეთესოა გემოვნებით და ძალიან ცხიმიანიც, მაგრამ, ეს მცენარე ჩვენთან არ არის, შირაქშია, სადაც მეცხვარეობას მისდევენ. არც ჩვენთან არის ურიგო ბალახი.

***– ყველის გუდის გამოყვანა როგორ ხდება, რომელიც ყველს თავისებურ გემოვნებასაც აძლევს და ტრანსპორტირებაც ადვილია მეცხვარეებისთვის?***

– ცხვარი დაკვლის შემდეგ ისე უნდა გატყავდეს, რომ არ გაიჭრას. ოთხივე კიდურის ტყავი გაჰყვეს, შემდეგ კარგად დამარილდეს და დაიკეცოს. 4 დღის განმავლობაში დაკეცილი უნდა იყოს, შემდეგ გაიპარსოს, ოღონდ ბოლომდე გაპარსული არ უნდა იყოს, გასუფთავდეს. თუ თხის ტყავისა არის, ის კუპრში უნდა გაივლოს.

***– საგარეჯოს რაიონი ერთ-ერთი მოწინავე იყო მეცხვარეობის დარგის განვითარების მხრივ. დღეს თუ იცით, რა ხდება?***

– დიახ, ასე იყო. მართალია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ საგარეჯოელ მეცხვარეებს ცხვარზე ზრუნვა, მაგრამ დღეს მაინც ის არ არის, როგორც უნდა იყოს. მეცხვარეობის განვითარებისათვის უცილობელი პირობაა პირუტყვის მოთხოვნილებების გათვალისწინება კვების, სადგომის მოწყობისა და



ჰიგიენური პირობების მიმართ, არ ხდება სავარგულების რაციონალური გამოყენება. ეს კი თავისებურ მინუსს აძლევს სელექციას, რამაც შეიძლება ჯიშობრივ სრულ დეგრადაციამდე მიგვიყვანოს. აუცილებლად უნდა შეიქმნას მტკიცე საკვები ბაზა. საერთოდ, 1 ჰექტარი საძოვარია გათვალისწინებული 1 ძროხისა და 10 სული ცხვრის საძოვრად. მაგრამ ახლა საძოვარი იმდენად შემცირდა, რომ გამორიცხული არ არის ეროზიების გამო საძოვრების გაუდაბნოებაც მივიღოთ. ამასთან, მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ცხვრის საკვები პროდუქტის თესვასაც. უპირატესობას მე შვრიას ვანიჭებ, რადგან ცხვრის წველადობასაც ზრდის და უწყინარია. ბატკნისთვის კი ქერი კარგია.

***– დათო, რა ასაკიდან მოხდა თქვენი დაინტერესება მეცხვარეობით და რატომ, განათლება ხომ ღვინის ტექნოლოგიისა მიიღეთ?***

– ეს დაინტერესება ალბათ გენეტიკურიცაა, ვერ აგიხსნით. მეცხვარე ყოველთვის ვაჟკაცური ხასიათებით, სხვებისაგან



გამორჩეული ცხოვრებით მყავდა წარმოდგენილი. ჩემი დიდი პაპა – ბებიის მხრიდან – პეტრე ილაური ერთ-ერთი თვალსაჩინო სარქალი იყო. ძალიან ბევრი რამ მსმენია ბავშვობიდანვე მის შესახებ და არა მარტო მის შესახებ, მის მოგვარეებზედაც, რომლებსაც ცხვარი ჰყავდათ და ვენახიც ჰქონდათ. ისიც ვიცოდი, რომ ქართველი მეცხვარეები მხოლოდ მეცხვარეები არ იყვნენ, მათ ცხვრის მოვლა თითქმის საქართველოს საზღვრებთან უხდებოდათ და ამიტომ ისინი მესაზღვრეები, უფრო სწორად კი საძოვრის მცველები, საქართველოს გუშაგები იყვნენ. ცხვარი მყავს კიდევ იმ დროიდან, როცა სკოლას ვამთავრებდი, ახლაც მყავს, მაგრამ ცოტა...არ გეგონოთ, რომ მხოლოდ ცხვრის მოვლა-პატრონობა შემიძლია, ჩემი დაყენებული ღვინოები საუკეთესო ღვინოებად ითვლება.

***– ცხვრის მოვლას ჭკვიანი ცხენი, ერთგული, გონიერი ძაღლი და უღალატო თოფი სჭირდება.***

– ასეა, ასე. მყავს ცხენი – კოხტა, რომელიც ჩემი დემეტრეს დაბადების დღეს დაიბადა. ასევე მყავს ძაღლი – დეზება და რასაკვირველია – თოფიც (რეგისტრირებული!) ისე ვინ თქვა მათ გარეშე მეცხვარე და მეცხვარეობა?

***– მაგრამ საძოვარი ხომ უნდა ჰქონდეს?***

– ეს ხომ მთავარია. სად არის საძოვარი? ყოველწლიურად იზრდება საძოვარზე გადასახადი, ყოველწლიურად მცირდება, მოკლდება საძოვარი, მეცხვარე დიდ გასაჭირშია, ამ შემთხვევაში. ზაფხულში ცხვრის მომთაბარეობა აუცილებელია, მაგრამ საფიქრალადაა გამხდარი – სად წავიყვანოთ, როგორ გადავრეკოთ ცხვარი – თითქმის აღარ არსებობს ცხვრის გადასარეკი „ტრასა“.

***– თუ იცით, ვინ იყვნენ საგარეჯოში გამოჩენილი, თავნასახელები სარქალი?***

– როგორ არ ვიცი. სარქალი რომ გახდე, დიდი ეტაპი უნდა გაიარო, ე.წ. გამოცდები. შეიძლება განათლებული არ ყოფილიყო სარქალი, მაგრამ მოაზროვნე, გამჭრიახი გონების, მამაცი, ვაჟკაცი, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული და ადამიანური თვისებებით შემკული უნდა ყოფილიყო. ასეთები იყვნენ – დიდი პაპა – პეტრე ილაური, საზუაანთ (ქურხული) გიგა, დათა, ზალია გრატიაშვილი, გიგა დარბაისელი, ქიტესა სიბოშვილი (ცხვრის მცნობი, რომელიც ბოლოს დასნეულებული მოხუცი, თითქმის ხელით წაიყვანეს ცხვარში, იქ ნაბადი გაუშალეს და სნეული მოხუცი ისე სცნობდა ცხვარ-ბატკანს, გაუოცებია იქ დამსწრე ხალხი), პატარძეულელი სიმონა ყუშიტაშვილი, ვალიკო ლაფერიშვილი, ამ უკანასკნელმა გამზარდა და ჩამომაყალიბა მეცხვარედ, კიდევ ბევრნი იყვნენ, აცხონოს უფალმა მათი სულები...

***– დათო, მომავლის გეგმები როგორია?***

– ახლა შევაცოტავე ცხვარი. უახლოეს მომავალში ვფიქრობ, უფრო მეტი მოვამრავლო.

***– განათლებით ღვინის ტექნოლოგს, ცხვრის მოყვარულ კაცს ხატვის ნიჭი გაქვთ. რას იტყვით?***

– მე ვერ აგიხსნით. ეს ალბათ უფალმა მომმადლა, მადლობა უფალს. ძალიან მიყვარს ბუნება, ვაჟკაცური ადამიანები და მინდა ისინი, ვინც იმ საუკუნეში ღირსეულად ატარებდნენ ქართველი კაცის სახელს, ფურცელზე გადმოვიტანო და მომავალ თაობას შევახსენო, ვინ, როგორები იყვნენ ჩვენი წინაპრები, საიდან მოდის ჩვენი გენები.

***– უფალმა დაგლოცოს, ხელი მოგიმართოს შენს საქმიანობაში***

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**23 აპრილი, 2021 წელი**



**დასასრული**

გვინების და ყვავილების შეძენის ხარჯი 800 ლარი; ფულადი დახმარება მე-2 მსოფლიო ომის 3 ვეტერანზე 900 ლარი; 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა 2 ოჯახზე 1,000 ლარი; 4 გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახებზე გაცემული დაკრძალვის ხარჯები 1,100 ლარი;

23) ***წითელი ჯვრის*** დაფინანსების პროგრამა 13230 ლარი გეგმის 13,300 ლარის 99 %;

24) ***სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსება*** 6,495 ლარი გეგმის 100 % (7 ბენეფიციარი);

25) ***მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა*** 1,800 ლარი გეგმის 100 %.

**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**

დამტკიცებული გეგმა ადგილობრივი ბიუჯეტის შიდა ცვლილებებით შემცირდა 311,720 ლარით და შეადგინა 3144,680 ლარი, დაფინანსდა 3040,944 ლარით ანუ 97 %-ით.

**საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა** დაფინანსდა 2945,860 ლარით, გეგმის 3036,472 ლარის 97 %, მ.შ.: მუნიციპალიტეტის საკრებულო დაფინანსდა 718,727 ლარით გეგმის 740,000 ლარის 97 %-ით; მუნიციპალიტეტის მერია გეგმა 2166,472 ლარი, ფაქტი 2110,278 ლარი (97 %); სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური დაფინანსდა 116,854 ლარით, გეგმის 130,000 ლარის 90 %-ით;

***საერთო დანიშნულების*** ხარჯები დაფინანსდა 95,084 ლარი, გეგმის 108,209 ლარის 88 %, მ.შ.: სარეზერვო ფონდის დაზუსტებული გეგმიდან 301,585 ლარიდან გასანაწილებელი დარჩა 13,125 ლარი, 288 460 ლარი განაწილდა შემდეგნაირად: კორონავირუსთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობისთვის, ხელის სადეზინფექციო საშუალებების შეძენის მიზნით 5,230 ლარი; აგრეთვე პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, 4 (ოთხი) ცალი უკონტაქტო თერმომეტრის და 5 (ხუთი) ცალი საყვირის (რუპორი) შესაძენად 1,756 ლარი; საგარეჯოში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქის - იოსებ დარბაისელის სტიქიის (ხანძრის) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის მიზნით სამშენებლო მასალის შესაძენად და სოფელ ვერონაში მცხოვრები მოქალაქის - ნათელა არაბულის სტიქიური მოვლენების ზემოქმედების შედეგად ამორტიზირებული საცხოვრებელი სახლის ნაცვლად, სხვა მცირე ზომის თავშესაფრის მშენებლობის მიზნით სამშენებლო მასალის შესაძენად 27,182 ლარი; 2020 წლის თებერვლის თვის 8-9 რიცხვებში მომხდარი ძლიერი სტიქიის - ქარის ზემოქმედების შედეგად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარემონტოს-არეაბილიტაციო სამუშაოების და აღნიშნული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესასყიდად 202,366 ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სამოცდაათი წლის ზევით მყოფი სოციალურად დაუცველი მარტოხელა მოქალაქეებისთვის, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის და სხვა მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული 800 ბენეფიციარისათვის, საკვები პროდუქტების, 4000 კგ. კარტოფილის და ამ პროდუქტების გადასაცემად პოლიეთილენის პარკების შეძენა 35,936 ლარი; კორონავირუსთან დაკავშირებით, ქუჩებისა და ტროტარების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების მიზნით სადეზინფექციო ხსნარების, რეზინის ჩექმების, საწვიმარი ლაბადების, სახის დამცავი ფარების, ხელთათმანებისა და პირბადეების შეძენად 6,470 ლარი; ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, მოსახლეობის საყოველთაო თერმოსკრინინგის ჩატარების მიზნით, ოთხი (არანაკლებ ოც ადგილიანი) სამგზავრო-სატრანსპორტო საშუალების მომსახურების ასანაზღაურებლად 750 ლარი; მოსახლეობის საყოველთაო თერმოსკრინინგის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, მერიის თანამშრომლებისთვის ხელთათმანებისა და ინფრაწითელი დისტანციური თერმომეტრების ელემენტების შესაძენად 70 ლარი. დიდთოვლობის გამო დაზარალებული, სოფ. პატარძეულში მცხოვრებ გიორგი მეხაშიშვილისთვის საცხოვრებელი ვაგონის შეძენის მიზნით 4,900 ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქუჩების მორეცხვის მიზნით სადეზინფექციო ხსნარის შეძენად 3,400 ლარი; მერიის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმის წარმოების განყოფილებისთვის 2 ცალი ლითონის დამცავი ბარიერის შეძენა 400 ლარი.

მგფ-ს და სხვა დავალიანებების დაფარვა გადახდილია სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქრთველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების(2 ცალი ნაგავმზიდი, 240 ცალი ნარჩენების კონტეინერი) გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში სესხის პროცენტი 34,406 ლარი, ვალდებულების კლება 60,678 ლარი, გეგმის 100 %.

ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1238,347 ლარი, შესრულდა 95 %-ით ანუ 1170,863 ლარით, მ: შ:

სხდომაზე წარმოდგენილი მოხსენების ირგვლივ და ამასთან,თითოეულ სოფელში შექმნილი პრობლემების შესახებ ისაუბრეს დეპუტატებმა: ***ნიკო გიუაშვილმა, გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა, ნიკო ნახუცრიშვილმა, ელენე სამხთუაშვილმა.*** მათ მიერ წამოჭრილი საკითხები ძირითადად შეეხო სოფლებში სასმელი წყლის დეფიციტსა და მოსახრეშ-სარეაბილიტაციო გზებს. დეპუტატებმა ***გია ბედიაშვილმა, ზურაბ ჭიკაძემ,ვანიკო ივანიშვილმა*** კი ისაუბრეს საგარეჯოს კონკრეტული ქუჩების პრობლმებზე. როგორც ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ლევან გილაშვილმა*** თქვა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით მალე დაიწყება სარეაბილიტაციო ქუჩების ორმული დამუშავება, რომელზედაც უკვე 300000 ლარია გამოყოფილი. იმ შემთხვევაში, თუ ეს თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი, მაშინ მოძიებული იქნება საჭირო თანხა და სოფელში არც ერთი ქუჩა არ დარჩება ორმულად დაუმუშავებელი. ამასთან მან ისაუბრა ქალაქ საგარეჯოში დავით აღმაშენებლის სახელობის ქუჩის რეაბილიტაციაზე, რომელიც აუცილებლად დაიწყება უახლოეს თვეებში. აღნიშნა, ისიც რომ არც ერთ ინფრასტრუქტურულ პროექტს არ განიხილავენ განხორციელებულად, მერიის შესაბამისი სამსახურები არ ჩაიბარებენ ობიექტს, თუ სამშენებლო კომპანიებმა ბოლომდე არ გამოასწორეს ხარვეზები.

# წინადადებას აყენებს არასამთავრობო ორგანიზაცია

## როცა საქმე კეთდება

**არასამთავრობო** ორგანიზაცია „კარპე დიემ“ ათ თვეზე მეტია შეიქმნა და ამ ორგანიზაციის ძირითადი მიზანი ახალგაზრდების განვითარებისკენაა მიმართული.

ათი თვის განმავლობაში ვითანამშრომლეთ არაერთ ორგანიზაციასთან და განვახორციელეთ არაერთი აქტივობა,მათ შორის:

ორგანიზაცია „კარპე დიემის“ დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შევისწავლეთ ს. დოდაშვილის და 9 აპრილის ქუჩის მაცხოვრებელთა პრობლემა, კერძოდ შემზღუდავი ბარიერების არ არსებობა.

ქუჩები მჭიდროდ დასახლებულია. ამ ქუჩაზე მავალი ქვეითები რისკის ქვეშ იმყოფებიან (ბავშვები გადაადგილებისას), ამიტომ სავალდებულოდ მიგვაჩნია ამ პრობლემის გადაჭრის გზად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან წინადადების წარდგენა და ადვოკატირება (არგუმენტებით გამყარებული და დადასტურებული) - სიჩქარის შემზღუდველი საშუალებებისა და საინფორმაციო ბანერის “იარე ნელა - არ დააზიანო!“ განთავსება ამ ქუჩებზე, რაც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის მომსახურების ხელმისაწვდომობის ხარისხს, კონკრეტულად კი ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობას.

ჩვენი ორგანიზაციის ამჟამინდელი გამოწვევაა ამ პრობლემაზე დაფუძნებული პროექტი „იარე ნელა - არ დააზიანო!“ (აღსანიშნავია ისიც , რომ მთელი კახეთის მაშტაბით სულ გაიცა 16 ქვე-გრანტი (ორიათასი ევროს ღირებულებით), მათგან ერთ-ერთი გახლავთ ჩვენი პროექტი).

ამავე პროექტის ფარგლებში ორ დღიანი ტრენინგი ჩაუტარდათ ს.დოდაშვილისა და 9 აპრილის ქუჩაზე მცხოვრებლებს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს. ტრენინგები შეეხო ისეთ საკითხებს ,როგორებიცაა:

1. “ადვოკატირება და მისი მექანიზმები“;
2. “ადგილობრივი თვითმმართველობის როლი, ფუნქცია და მოქალაქეთა ჩართულობის გზები“.

ასევე 9 აპრილისა და ს. დოდაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, ღია ცის ქვეშ. მოსახლეობა მზაობას გამოხატავს აღნიშნული პრობლემის მიმართ და მიესალმება არასამთავრობო ორგანიზაცია „კარპე დიემის“ ამ წამოწყებას.

პროექტი „იარე ნელა- არ დააზიანო“ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციის „კარპე დიემ“ შეხვედრა გამართა და აღნიშნული პროექტი და პრობლემა გააცნო საგარეჯოს საკრებულოს თავჯდომარის მოადგილესა და დეპუტატებს.

პროექტი მიმდინარეობს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის: „მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი (MUSQAT)‘‘ ფარგლებში.

MUSQAT პროექტის განმახორციელებელია კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) მედია ცენტრ კახეთთან (MCK) ერთად.

*ნინო ბუზარიაშვილი,*

***არასამთავრობო ორგანიზაცია „კარპე დიემ“-ის აღმასრულებელი დირექტორი***



# საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერებათა აკადემიის საგარეჯოელი სტიპენდიანტი



***საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულებაა სრული ავტონომიური უფლებებითა და სახელმწიფო დაფინანსებით. იგი შედგება მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), წევრ-კორესპონდენტების, აკადემიის სტიპენდიანტებისა და აგრეთვე საპატიო აკადემიკოსებისა და უცხოელი წევრებისაგან, საიდანაც, გარდა საპატიო წევრებისა, რეგულარულად ხდება აკადემიის შემადგენლობის განახლება და ახალი წევრების შერჩევა სათანადო კონკურსის წესით. მსგავსად კონკურსი – „აკადემიის სტიპენდიანტის“ პოზიციის დასაკავებლად ჩატარდა, მარტის თვეში, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი თანამემამულე ახალგაზრდა მეტყევე მეცნიერი, მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დირექტორი ზვიად ტიგინაშვილი*** და შეძლო შესაბამისი სატყეო მიმართულების ვაკანსიის დაკავება.

***ამ სასიხარულო ამბის შემდგომ ჩვენ შევხვდით ჩვენებურ აკადემიის სტიპენდიანტს, მივულოცეთ მის ცხოვრებაში ეს მორიგი დიდი წარმატება და გავესაუბრეთ ამ წარმატებისა და მისკენ მიმავალი გზების შესახებ, რომელთაც იმედია, მომავალშიც ექნებათ გაგრძელება უფრო დიდი და შთამბეჭდავი მიღწევებით. გვჯერა, რომ მისი სახით ქართულ სატყეო მეცნიერებას კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება ჰყავს და გააგრძელებს მსოფლიოში აღიარებული თამამემამულე მეტყევე მეცნიერის აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის გაკვალულ გზას.***

***– ბატონო ზვიად, ჩვენი საუბრის დასაწყისში გვინდა გავარკვიოთ, თუ როგორ მოხვდით აღნიშნულ კონკურსში, როგორ ჩატარდა იგი და როგორ მიაღწიეთ ამ წარმატებებს?***

– აკადემიის სტიპენდიანტის პოზიციის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს როდი შეუძლია. საამისოდ შესაბამის განყოფილებაში წინასწარ კეთდება კონკურსანტის სამეცნიერო თუ პედაგოგიური საქმიანობის ანალიზი (შეფასება),რის შემდეგაც კონკურსში მონაწილეობის მსურველს ეძლევა (ან არ ეძლევა) უფლება პრეზენტაციით წარდგეს აკადემიის გაერთიანებულ კრებაზე, სადაც ფარული კენჭისყრით წყდება კონკურსანტის ბედი. უნდა ითქვას, რომ ამ კენჭისყრაში მონაწილეობას იღებენ აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები.. აღნიშნული კონკურსი უნდა ჩატარებულიყო 22-24 მარტს, მაგრამ გადაიდო და ჩატარდა 26 მარტს, სადაც ფარული კენჭისყრის შედეგად, გაერთიანებული კრების გადაწყვეტილებით მერგო პატივი გავმხდარიყავი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტი მეტყევეობაში, რაც ჩემთვის მართლაც უდიდესი პატივია, უდიდესი პასუხისმგებლობა და ძალიან დიდი გამოწვევაა.

***– რამდენი ხნით იქნებით არჩეული სტიპენდიანტად?***

– სტიპენდიანტის არჩევა ხდება 5 წლის ვადით და ერთ კანდიდატს შეუძლია ორჯერ იქნას არჩეული ამ პოზიციაზე.

***– როგორი იყო ამ წარმატებისაკენ მიმავალი ზვიად ტიგინაშვილის საგანმანათლებლო და სამეცნიერო გზასავალი?***

– 1994-1998 წლებში დავამთავრე საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტი ბაკალავრის წოდებით, 2000 წელს კი ამავე უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის მაგისტრატურა. ამავე წელს სწავლა გავაგრძელე ვ. გულისაშვილის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 2006 წელს დავიცავი დისერტაცია და მომენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის აკადემიური დოქტორის (PHD) ხარისხი სპეციალობაში „მეტყევეობა და ტყეთმცოდნეობა“.

***– როგორ გაიხსენებდით თქვენი მოსწავლეობის პერიოდს, საიდანაც უმეტესწილად ეყრება საფუძველი ადამიანის მომავალ საქმიანობას?***

– მე ვსწავლობდი საგარეჯოს I საშუალო სკოლაში, რომელიც დღესაც ისევე მიყვარს, როგორც ამ 38 წლის წინ (შევედი 1983 წელს), როცა პირველად შევედი ამ სკოლაში. მაშინ ჯერ კიდევ „ნულო კლასი“ იყო. ახლაც მახსოვს მაშინდელი სკოლის ნავთით მოპრიალებული იატაკის სურნელი და იქ გატარებული ბავშვობა, ჩემი მასწავლებელი და კლასელები. სკოლა 1994 წელს დავამთავრე. ზოგადად ბუნება ბავშვობიდანვე მეც ისე მიყვარდა, როგორც ყველა ბავშვებს. ხოლო, როცა გადავწყვიტე, რომ მეტყევე გავმხდარიყავი და უფრო ახლოს მივედი ბუნებასთან, ეს სიყვარული დღითი დღე იზრდებოდა და მივხვდი, რომ იქ მოვხვდი, სადაც შეიძლებოდა ვერც კი მეოცნება. ახლა, როცა მომეცა საშუალება, რომ გავაკეთო ის საქმე, რომელიც მიყვარს, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან გამიმართლა... არ არსებობს იმაზე მეტი განცდა, როცა იცი შენც იმ დიდი საქმის მონაწილე ხარ, რასაც ბუნების დაცვა ჰქვია, რომ იმ დაცული ცხოველის თუ მცენარის სიცოცხლეში შენც მიგიძღვის მოკრძალებული წვლილი. მეტყევეობა არ ნიშნავს მარტო ტყის დაცვას. ჩემი მასწავლებლის დიდი მეტყევის პროფესორ შალვა აფციაურის ციტატა მინდა მოვიყვანო „ტყე იზრდება ცულით, მაგრამ ეს ცული სწორედ უნდა მოიქნიო“.

***– უნდა ითქვას, რომ თქვენ გაგიმართლათ და სადაც კი გიმუშავიათ, თქვენი სპეციალობის მიხედვით გიწევთ მუშაობა ისე, რომ სამეცნიერო და პრაქტიკული სამუშაო, როგორც იტყვიან, თანხვედრაში არიან...***

– ასეა. 2006-2012 წლებში ვმუშაობდი მეცნიერ-თანამშრომლად ვასილ გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტში ტყის ბიომრავალფეროვნების, დაგეგმარებისა და ექსპერტიზის განყოფილებაში. აქედან 2007 წლის ივლისამდე ვიყავი მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ბუნებრივი რესურსების მართვის უფროსი სპეციალისტი. 2016 წლის დეკემბრიდან ვარ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო განყოფილების კოორდინატორთა ჯგუფში. იმავე წლის მაისიდან საქართველოს რკინიგზის მეტყევე-ექსპერტი. 2017 წლის ივლისიდან დავინიშნე მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დირექტორად, ხოლო იმავე წლის დეკემბრიდან დღემდე ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მიწვეული ასოცირებული პროფესორი. თუმცა, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი 2012 წლიდან შეუერთდა აგრარულ უნივერსიტეტს, მაგრამ დღესაც არ ვწყვეტ საქმიან ურთიერთობებს, პერიოდულად ვმუშაობ ტყეების ინვენტარიზაციაზე, ტყეთმოწყობაზე, საექსპერტო და საკონსულტაციო ღონისძიებებზე.

## გზა ახალგაზრდა საგრეჯოელი მეტყევე-მეცნიერისა

პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად ვაგრძელებ სამეცნიერო სახის მოღვაწეობას დღემდე დამოუკიდებლად, თუ თანაავტორებთან ერთობლივად გამოქვეყნებული მაქვს 52 სამეცნიერო ნაშრომი მეტყველების დარგის შესახებ. აქედან, უმეტესობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემებში. 8 საერთაშორისო (უცხოურ) ჟურნალებში, მათ შორის 5 ინფაქტ-ფაქტორიანი, 3 მონოგრაფია და 2 ლექსიკონი. სულ მალე მათ რიცხვს შეემატება კიდევ ერთი ჩემი ნაშრომი, რომელიც გადაგზავნილი მაქვს საერთაშორისო ჟურნალში დასაბეჭდად.

2009 წლიდან დღემდე ვმონაწილეობ სხვადასხვა სამეცნიერო გრანდებში, სადაც ბოლო 2019-2021 წწ მიმდინარე რამდენიმე გრანტია კლიმატის ცვლილების გავლენის მოდულირება თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული ტყის ეკოსისტემებზე, რომლის ძირითადი შემსრულებელიც თავად გახლავართ. იმავე 2009 წლიდან ვმონაწილეობ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ტყის აღდგენისა და გაშენების პროექტებში, რომელთა ჩამოთვლისაც აქ აღარ მოვყვები, რადგან მათ შესახებ თქვენს გაზეთში ადრეც გვქონდა საუბარი. გავლილი მაქვს სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ტრენინგები. ვარ ერთი გამოგონების ავტორი, – გამოგონებული მაქვს ხის სიმაღლემზომი და ფერდობის დახრილობის კუთხის საზომი ხელსაწყო, რომელიც ჯერჯერობით არ არის დაპატენტებული.

***– ამდენი დამსახურების მქონეს არც ზემდგომის ჯილდოები გაკლიათ...***

– 2016 წელს მიღებული მაქვს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელი „სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის“ (კონკრეტულად საკითხი გამოყოფილი არ არის). 2010 და 2012 წლებში ორჯერ ვიყავი შოთა რუსთაველის სახელმწიფო ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის „პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის“ გამარჯვებული.

***– თქვენი სამუშაო პრაქტიკიდან და გარემოზე დაკვირვებიდან გამომდინარე, რა არის საჭირო მოსახლეობაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად?***

– ამ კუთხით სადღეისოდ ძალიან ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. ჩემი აზრით, ამას ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობით უნდა ვიწყებდეთ, რაზედაც დაცული ტერიტორიების სააგენტო გარკვეულ ნაბიჯებს დგამს. ჩვენი ადმინისტრაცია (და არა მარტო ის) რეგულარულად აწარმოებს შეხვედრებს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან , მათ მოსწავლეებთან, აწვდის ინფორმაციას დაცული ტერიტორიებისა და ტყის, ზოგადად გარემოს დაცვის საკითხებზე, მაგრამ, ვფიქრობ, სამუშაო გაცილებით ბევრი და რთულია. ჩემი აზრით, სასკოლო სახელმძღვანელოებშიც უნდა ისწავლებოდეს და გათვალისწინებული იყოს ეს საკითხები, რადგან სკოლა ძირითადი და მთავარი საგანმანათლებლო ორგანოა, სადაც ჩვენი მომავალი თაობა იღებს განათლებას და ივითარებს უნარ-ჩვევებს.

***– თქვენი მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე არაერთი კურიოზის მომსწრე იქნებით...***

– ... ერთი რეინჯერი, რომელიც ახლად მივიღეთ სამსახურში რაციით მირეკავს: - ერთი მენახირეა, ტყეში საქონელი შერეკა (აკრძალულ ზონაში), ცხენი ხეზე მიაბა, თვითონ კი ჩრდილში წამოწვა და რა ვუყოო?

– მიდი, ბუზები გაუნიავე, არ შეაწუხონ და კარგად დაიძინოს მეთქი,– ცხელ გულზე ეს ვუპასუხე.

2007-2008 წლებში იორის აღკვეთილი მარიამჯვარის ნაკრძალის ადმინისტრაციას დაექვემდებარა. გადმობარების დროს ერთ კურიოზულ დოკუმენტს წავაწყდი.

ადრე, „კომუნისტების“ დროს ასეთი პრაქტიკა იყო, – ზაფხულის ხანძარსაშიშ პერიოდში ადმინისტრაციები დამატებით იყვანდნენ მეხანძრე დარაჯებს, რომლებიც შემაღლებულ ადგილზე საგანგებოდ აგებულ ხის სათვალთვალო კოშკურებზე მორიგეობდნენ. ერთხელაც, მომიჯნავე მორიგე დარაჯებს გადაუწყვეტიათ კოშკზე ქეიფვათ, რა დროსაც შემოაღამდათ და ჭრაქის შუქზე განაგრძეს ქეიფი. ბუნების დამცველმა, ალკოჰოლით გაბრუებულმა მეხანძრე დარაჯებმა ვერ შენიშნეს, ჭრაქიდან ცეცხლი როგორ გადავიდა სათვალთვალო კოშკზე და უცებ შუა ცეცხლში აღმოჩნდნენ. საბოლოოდ მათ დამწვრობის მიღებით თავი დააღწიეს ხანძარს, მაგრამ კოშკი, საიდანაც უნდა ეთვალთვალათ, რომ ტყეში ხანძარი არ გაჩენილიყო, ვერ გადაარჩინეს.

***– რას აკეთებს სამი შვილის მამა, მეტყევე მეცნიერი და ბუნების დამცველი მათი თავის კვალზე დასაყენებლად?***

– ჯერჯერობით ისინი მცირე ასაკის არიან, მაგრამ როგორც ზემოთ საუბარში აღვნიშნე, ადამიანი სკოლამდელი ასაკიდანვე უნდა ეზიარებოდეს ბუნების, გარემომცველი ბუნების მოფრთხილების გრძნობას და ვცდილობ, რომ ისინიც ამ კვალზე დავაყენო. მათი ასაკის შესაფერისად მონაწილეობას ვაღებინებ სხვადასხვა ბუნებისდაცვით აქციაში, რაც, რა თქმა უნდა, მომავალშიც გაგრძელდება და იმედი მაქვს, ჩვენს გარემომცველ სამყაროს მათი სახით ერთგული დამცველები ეყოლება.

***– სიახლეები, რომლებიც მოსალოდნელია ადმინისტრაციის საქმიანობაში მიმდინარე წელს?***

– – სიახლეებს ბევრს ველოდებით, თუმცა ყველაფერი დამოკიდებულია მსოფლიოში განვითარებულ ცნობილ მოვლენებზე და ამიტომ, სჯობია, ჯერ თავი შევიკავოთ წინასწარ საუბარზე. ერთი რამის თქმა კი შემიძლია, რომ ის სიახლეები, რომლებზედაც ჩვენ ამასწინათ ინტერვიუში გესაუბრეთ და „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდ,ა ამ წელს თუ არა, მომავალში მაინც აუცილებლად ასრულდება. ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სიახლე, რასაც ამ უახლოეს ხანებში ველოდებით, ეს არის ახალი – ცივგომბორის აღკვეთილის შექმნა, რომელსაც ვერანაირი პანდემია ხელს ვერ შეუშლის.

***ესაუბრა***
*გივი დაბახიშვილი*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru